

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული  
უძრავი ქონების სარეგისტრაციო მონაცემების დაზუსტების შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წარდგენილი იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების, კერძოდ: ტროტუარის, მდებარე ზ. გამსახურდიას გამზირი N11 სახლის ჩრდილოეთით, ფართობი - 658.0 კვ.მ. /საკადასტრო კოდი 03.04.21.190/ და გაზონის, მდებარე ზ. გამსახურდიას გამზირი N11 სახლის ჩრდილოეთით (ნაკვეთი N2), ფართობი - 457.0 კვ.მ./საკადასტრო კოდი 03.04.01.402/ დაზუსტებული საკადასტრო აზომვითი ნახაზები.

2. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭოს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის ქონების რეგისტრაციის განყოფილების წამყვან სპეციალისტს, თეიმურაზ ერამეს (პირადი N60001079086).

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

6. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

ნ.მიქიაშვილი